დირექტორი ნათია კაპანაძე

აჭარის ტელევიზია და რადიო

საზოგადოებრივი მაუწყებელი

2017 წლის III კვარტლის ანგარიში

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა
3. კვარტლის მიღწევა
4. კვარტლის გამოწვევა
5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები

   რადიო - შედეგები და საჭიროებები

   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები
6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები
7. იურდიული მხარდაჭერა
8. კვარტლის ტენდერები
9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა
10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა
11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები
12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი
13. ჩვენი სხვა აქტივობები
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

1. შესავალი

გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „აჭარის მაუწყებელი“ „მაუწყებელი“) 2017 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრისთვის აქტივობების შედეგები - მესამე კვარტალური ანგარიში.

მოგეხსენებათ, მაუწყებელი პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული.

ორგანიზაცია საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტებით.

#ვმუშაობთსაზოგადოებისთვის - ამ სლოგანის ქვეშ თანდათან ერთიანდება მაუწყებლის ყველა აქტივობა, რადგან მთავარი კანონისმიერი ვალდებულებებია[1]:

- ✓ უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება
- ✓ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ
- ✓ საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები
- ✓ პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი
- ✓ ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი
- ✓ ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით
- ✓ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება
- ✓ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები

[1] **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 16**

- ✓ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი
- ✓ ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- ✓ სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები
- ✓ უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

ჩვენ სრულად ვაანალიზებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

ამიტომაცაა, რომ მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოში.

2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

აჭარის მაუწყებელში გრძელდება მცდელობა დაინერგოს საქმიანობის წინასწარი დაგეგმვის სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული და სტარტეგიული გადაწყვეტილებების მიღების მოლოდინი არამყარს ხდის სამუშაო პროცესებს, წინასწარი დაგეგმარებით მაინც შესაძლებელია გამოიკვეთოს სამი თვის საჭიროებები და მენეჯმენტის მთავარი აქცენტები.

მესამე კვარტლისათვის წინასწარი გეგმები გაწერილი იყო შემდეგ აქტივობებზე:

1. **კვარტალის მთავარი ამოცანები:**
   - ✓ რადიოს ახალი სეზონის დაწყება
   - ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
   - ✓ ახალი შენობის კონსტრუქციის მოდელზე იდეების კონკურსის გამოცხადება
   - ✓ სტრუქტურის და სტრატეგიის დოკუმენტების საჯარო განხილვები
   - ✓ ევროპის საბჭოს მხარდაჭერის ფარგლებში მოწვეული სპეციალისტების ჩართვა და თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლება
   - ✓ შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით სამუშაო ფორმატების დახვეწა
   - ✓ მაუწყებლის 30 წლის იუბილესათვის მზადება
   - ✓ 2-3 წარმატებული საგრანტო პროექტი
   - ✓ შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულება
2. **სამუშაო პირობების შეცვლა:**
   - ✓ რადიოს ადაპტირების დასრულება
   - ✓ საოფისე ავეჯის განახლება
3. **თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:**
   - ✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
   - ✓ გასვლითი შეხვედრების - ბრეინშტორმინგის მოწყობა
4. **სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა**
   - ✓ საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროექტის ეთერში ჩაშვება
   - ✓ თოქ-შოუ „მთავარი კითხვა“
   - ✓ თოქ შოუ „სპორტი“
   - ✓ ყოველდღიური დილის გადაცემა
5. **შეთავაზება მესამე პირებისათვის**
   - ✓ წამყვანების/გადაცემების გასვლითი შეხვედრები აჭარის მუნიციპალიტეტებში
   - ✓ საინფორმაციო ლაითბოქსების განთავსება ტელევიზიის და რადიოს შენობებზე
   - ✓ რადიოს კედლების მოხატვა
6. **ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა**
   - ✓ რადიოს ვიზუალიზაცია
   - ✓ ტექნიკური გადაიარაღების გეგმის დამტკიცება
7. **ფინანსური საკითხები**
   - ✓ 2018 წლის ბიუჯეტირების პროცესის დასრულება

დასახულ ამოცანათა უმრავლესობა გადაჭრილია. თუმცა აღნიშნული დაგეგმარების შესრულების მაჩვენებლები და ინდიკატორები მოცემულია ანგარიშის მთლიან კონტექსტში.

3. კვარტლის მიღწევა

1. რადიოს შენობის ადაპტირება
2. მაუწყებლის ანალიტიკური გუნდის შექმნა
3. ანალიტიკური გადაცემის „მთავარი აჭარაში“ მაუწყებლის ეთერში გაშვება
4. ანალიტიკური გადაცემის „კვირის მთავარი“ მაუწყებლის ეთერში გაშვება
5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის „ღია სივრცე“ ეთერში გაშვება
6. პოლიტიკური დებატების და პოლიტიკური პარტიების პრეზენტაციების ტელე და რადიო ეთერში განთავსება
7. არჩევნები 2017 - გაშუქების მიზნით სპეციალური განყოფილების შექმნა და პოლიტიკური პარტიების ინფორმირება http://ajaratv.ge/article/ge/90
8. არჩევნები 2017 - ახალი ამბების ერთად დაჯგუფება და ხელმისაწვდომობის გაზრდა http://ajaratv.ge/category/ge/10/
9. ხანძრების გაშუქება ბორჯომსა და აჭარის მაღალმთიანეთში
10. საარჩევნო პროცესების გაშუქების პოლიტიკის განსაზღვრა და სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა
11. დაინტერესებული მოქალაქეების ინფორმირება მაუწყების ცხელი ხაზით და სოციალურ ქსელში საცნობებითhttps://www.facebook.com/AjaraTV/videos/1436884803054408/
12. სპორტული რედაქციის ჩამოყალიბებისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარება
13. სიახლე- 21:00 საათიან მთავარში სპორტული ბლოკის „მთავარი სპორტში“ დამატება
14. აჭარის საფეხბურთო კლუბების თამაშების მხარდაჭერა და აქტიური გაშუქება
15. დონორის მიერ დაფინანსებული რუბრიკის „ჩემი უფლება“ დაწყება გადაცემაში „დილის ტალღა“
16. „ამერიკის ხმის“ ჩართვა მთავარ საინფორმაციო გადაცემასა და „ჰეშთეგში“
17. აჭარის მაუწყებლისა და რადიო თავისუფლების ერთობლივი პროდუქტი - გოგი გვახარიას „ანარეკლები“
18. აჭარის მაუწყებლისა და რადიო თავისუფლების ერთობლივი პროდუქტი - მოლაპარაკებები სალომე ასათიანთან გადაცემისათვის „ვილაპარაკოთ“
19. რადიოს ღამის ეთერის ტელე ეთერში განთავსება
20. თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან
21. მემორანდუმს გაფორმება საგამოძიებო ჯგუფთან „სტუდია rec”
22. პრიზი - 2017 წლის დამსაქმებელი
23. სასტუმრო „ჰილტონის“ პარტნიორობის პრიზი

4. კვარტლის გამოწვევა

მესამე კვარტლის ძირითადი გამოწვევა სტრატეგიული გარდაქმნის მოლოდინი და ამ მხრივ, სამუშაო პროცესების ნაკლებობა იყო.

ამავე დროს მთავარი სირთულე ტექნიკური პრობლემებთან ერთადსახელფასო/საკადრო პოლიტიკა, ბადის ეფექტურად დაგეგმვა / სწორი მართვა და ახალი იდეების განხილვის პროცესიცაა.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდი. ზოგადი შეფასებით, მაუწყებელი პასუხობს არჩევნების გაშუქების სტანდარტს. მაუწყებელსა და მარეგულირებელ კომისიაში არ შემოსულა საჩივარი გაშუქების გადაცდომების პრეტენზიით, თუმცა სამწუხაროდ, მარეგულირებელი კომისიის მონაცემების[2] თანახმად, მაუწყებელს პოლიტიკური გაშუქების კუთხით ბალანსის დადებითი მაჩვენებელი არ აქვს, არაეფექტურადაა გადანაწილებული გაშუქების ფოკუსები და ვერ უწყობს ხელს პოლიტიკური პლურალიზმის ჩამოყალიბებას.

ახალი ამბების სამსახურის ხელმძღვანელს დაევალა ცვლილებების შეტანა სამუშაო პროცესში, რათა მაუწყებლის მთავარ ღირებულებებთან (დაბალანსებულობა, თანაბარი დროის დათმობა) დაუყოვნებლივ თანხმობაში მოვიდეს ახალი ამბების გაშუქების ტენდენციებიც. ამავე დროს, მივმართე მარეგულირებელ კომისიას ინსტრუქტაჟისათვის. ვფიქრობ, არსებული სიტუაციის შესაცვლელად ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. მარეგულირებელი კომისიის შემდეგი ანგარიში იქნება ახალი გარანტია ხაზი გაესვას მაუწყებლის დაბალანსებულ მუშაობას. მნიშვნელოვანია, რომ არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პლურალიზმის წარმოჩენის საკითხი გადამწყვეტი იქნება და ეს დავალება ახალი ამბების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული და მთავარი ამოცანა გახდება.

საანგარიშო პერიოდი კი გვაჩვენებს, რომ პოლიტიკური აქტივობების გაშუქებისას შესაცვლელია მუშაობის ტექნიკა და მიდგომები ახალი ამბების მიმართულებით. ცხადია ისიც, რომ ამ საკითხის გამართვა ასევე მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ადგილობრივი პოლიტიკური ჯგუფების აქტივობებსა და პოლიტიკურ გეგმებზე.

ამავე დროს, აუცილებელია შევიმუშაოთ ახალი ამბების გუნდის სამოქმედო გეგმა და სტრატეგის დოკუმენტი, საგანგებო და კრიტიკული სიტუაციების დროს ძირითადი ინსტრუქტაჟისათვის. ამასთან, აუცილებელია, საგანგებო სიტუაციების დროს, გადამღები ჯგუფების უსაფრთხოებისთვის სპეციალური აღჭურვილობის შეძენა. ასევე უნდა დაკონკრეტდეს, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა გადამღები ჯგუფების უსაფრთხოებაზე. აღნიშნულ საკითხებზე სამსჯელოდ, უახლოეს დღეებში ექვსდღიანი ტრეინიგი იგეგმება IREX მედიაპროგრამის ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ამერიკის საელჩოს მიერ.

განსაკუთრებული ყურადღების საგანია მაუწყებლის ტექნიკის მიმართულება სამივე პლატფორმა საჭიროებს გადაიარაღებას და ფუნდამენტურ მიდგომას. ამ დროისათვის დაწერილია მაუწყებლის ტექნიკური განვითარების 5 წლიანი სტრატეგია. დოკუმენტი წარდგენილია მრჩეველთა საბჭოს წინაშე. სამწუხაროა, რომ მისი განხილვა და დამტკიცება ამ

[2]მარეგულირებელი კომისიის შუალედური ანგარიში http://gncc.ge/ge/news/press-releases/2017-wlis-21-oqtombris-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-winasaarchevno-periodis-media-monitoringis-pirveli-shualeduri-angarishi-23082017-22092017.page

დრომდე ვერ მოხდა, რადგან ტექნიკური განვითარების ხედვამ უნდა გაამყაროს საბიუჯეტო დაგეგმარების პროცესი და განჭვრეტადი გახადოს მომდევნო წლების დინამიკა. რაც დღეისათვის მაუწყებელს არ გააჩნია. ტექნიკის შეძენა ხდება მხოლოდ გამოვლენილი ხარვეზების ლოკალურად მოსაგვარებლად. რაც არ არის საკმარისი წინაპირობა განვითარებისათვის. ამგვარი მიდგომით, მაუწყებლის სამომავლო პერსპექტივები ყოველთვის ნაკლებხარისხიანი და ნაკლებპერსპექტიული იქნება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მაუწყებლის სატელევიზიო ბადის პროფილური ანალიზი. გასული პერიოდების განმავლობაში მაუწყებლის სატელევიზიო ბადის 70% მაინც ეთმობოდა მექანიკურ პროდუქციას, რაც ვფიქრობ აცდენილია მაუწყებლის დანიშნულებას. დღევანდელი მიდგომაა, რომ სამაუწყებლო ბადის 50%-ზე მეტი აღარ დაეთმოს მექანიკას და 2018 წლის იანვრამდე შესაძლებელი გახდეს ფინანსებისა და ადამიანური რესურსების სწორი განლაგებით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შექმნას ადამიანების საჭიროებების და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისი კონტენტი. აღნიშნული პროცენტულობა გათვლილია მრჩეველთა საბჭოს განახლებულ პროგრამულ პრიორიტეტშიც.

აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა საკმაოდ მკვეთრი ცვლილებაა და საჭიროებს წინამოსამზადებელ პროცესს. რაც თავისთავად მოიცავდა მაუწყებლის აუდიტორიის ქცევის სრულ შესწავლას.

საგულისხმოა, რომ ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მონიტორინგითაც გახდა ცნობილი, რომ „პროგრამული პრიორიტეტების შედგენისა და ბადის დაგეგმვისას მაუწყებელი საკმარისად არ იყენებს კვალიფიციურ, რეპრეზენტატულ კვლევებს, რის შედეგადაც, შესაძლოა, ის ვერ ახერხებს ადეკვატურად უპასუხოს მოსახლეობის მოთხოვნებს. დაბალია ტელევიზიის რეიტინგიც.“

საქართველოში ორი მთვლელი კომპანიაა, თუმცა მათი ამოცანები და მეთოდები არასაკმარისია საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორიის/პროგრამების შესაფასებლად. აუდიტორიის გაზომვის სისტემა მხოლოდ ბიზნესის და მარკეტინგის ინტერესებზეა მორგებული და არ აკმაყოფილებს საზოგადოებრივი მაუწყებლობის განსხვავებულ მოთხოვნებს. თუმცა დღეისათვის მაუწყებლის ინტერესია შეისწავლოს ყველა ალტერნატივა და დაკული, საერთო ანალიზით კი ბევრად უფრო კვალიფიციური განაცხადი გააკეთოს მედიაბაზარზე. სწორედ ეს გარემოება გახდა შესყიდვის მიზეზი.

როგორც წესი, ქვეყანაში ერთი მთვლელი უნდა არსებობდეს, რომლის მონაცემების მიხედვითაც შესაძლებელია სარეკლამო ბაზრის ინდიკატორების გამორკვევა და შესაბამისი სარეკლამო ფასების დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ესაჭიროება, აუდიტორიასთან წვდომის თვალსაზრისით, მთვლელების მონაცემები დამატებითი მასალაა.

მაუწყებლის ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსების გადანაწილება ამ ეტაპამდე რაიმე დადგენილი წესით არ ხდებოდა, დღეისათვის კვლევის შედეგებია სწორედ ძირითადი სამუშაო დოკუმენტები, რომლებზედაც უნდა მოხდეს შემდეგი პერიოდებისათვის ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსების გადანაწილება. სწორედ ამ მონაცემებს დაეყრდნობა მაუწყებელი ახალი გადაცემების დაგეგმვის დროს.

ამ დრომდე მაუწყებელს არ ჰქონია გრძელვადიანი გეგმა მთვლელი კომპანიების მონაცემების გამოყენების თაობაზე. არ ხდება ყოველდღიურ რეჟიმში მონაცემების გამოყენება დამოკიდებულია მხოლოდ ზოგიერთი ავტორის სურვილზე სიღრმისეულად მიჰყვეს პროცესს.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზის გამოყენება უფრო მეტად ზედა დონეზე ხდება (მენეჯმენტი, მრჩეველთა საბჭო) და საჭიროა დაიგეგმოს ქვედა დონეზე მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა.

ორი პროფილური ანალიზის მომზადება და მათი პრეზენტაცია ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, სწორედ ამ შესაძლებლობის თაობაზე თანამშრომელთა ინფორმირებულობასა და მონაცემების გაცვლას ისახავდა მიზნად. რადგან უნდა გაანალიზდეს თითოეული გადაცემის სუსტი და ძლიერი მხარეები. დადგინდეს გადაცემების ეთერში განთავსების ოპტიმალური დრო და სამიზნე აუდიტორიაზე წვდომის ეფექტი.

ამასთანავე, მაისის თვიდან შეინიშნებოდა მაუწყებლის რეიტინგის მკვეთრი ცვლილება, რაც სიღრმისეული შესწავლის საგანი უნდა გამხდარიყო.

ორივე მთვლელი კომპანიის მიერ მოწოდებული მასალების თანახმად, წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია მექანიკური პროდუქციის ოდენობის ცვლილება, ე.წ. „მცოცავი ბადე“ რაც აიხსნება ბადის დაგეგმარების არაეფექტური მიდგომითა და ხშირი ცვალებადობით. ამავე დროს ვერ ხდება შემოქმედებითი პროცესების წინასწარი დაგეგმარება, რაც მთლიანობაში თანამედროვე გამოწვევების ფონზე 50ზე მეტ ტელეარხს შორის სათანადო ცვლილებების გარეშე მაუწყებელს არაკონკურენტულ რეალობაში აქცევს.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის დასკვნა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაასრულა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში[3].

ანგარიში მოიცავს 2015 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე აქტივობების გაანალიზების შედეგებს.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო აუდიტისათვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესთან ერთად, მაუწყებლის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის კრიტიკული წერტილებია:

1. სამივლინებო პოლიტიკა და მომწესრიგებელი სათანადო დოკუმენტაციის არარსებობა
2. ტენდერები და სახელმწიფო შესყიდვების სათანადო მომზადება
3. სოციალური დახმარების გაცემის წესი
4. საწვავის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გამართულობა
5. სახელმწიფო აუდიტის შეფასებით, 2015-2016 წლებში სამჯერადი სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა არაერთგვაროვანი მოდგომითაა განხორციელებული. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასთანადო მტკიცებულებითაა განსაზღვრული, ხოლო სატენდერო სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული ფილემბის სახელობითი სიის წარმოუდგენლობა და შესაბამისი მტკიცებულების გარეშე მისაწოდებელი ფილმების რაოდენობის და სახეობის ცვლილება, შესაძლოა კონკრეტულ პრეტენდენტზე იყოს ორიენტრებული.

[3]2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
http://ajaratv.ge/files/%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202015-2016.pdf

საგულისხმოა, რომ პრეტენდენტი, რომელზედაც დასკვნშია მითითებული წლებია მაუწყებლის ძირითადი მომწოდებელია

6. სახელმწიფო აუდიტის მიერ კითხვის ნიშნის ქვეშაა დაყენებული სატენდრო კომისიის მუშაობის და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლის მეთოდები
7. სახელმწიფო აუდიტის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ასევე მაუწყებლის ბალანსზე არსებული, მწყობრიდან გამოსული და მორალურად მოძველებულის მოტივით 2015 წელს 66.1 ათასი და 2016 წელში 221.1 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების აუდიო და ვიდეო აპარატურის ჩამოწერის ნაწილიც. მაშინ როდესაც, ჩამოწერილ აპარატურაში ვარგისი ნაწილები არ გამოკვეთილა, მხოლოდ 249 კგ (2015 წელი - 141 კგ, 2016 წელი - 108 კგ) ჯართად შეფასდა და ტექნიკური ექსპერტი, რომელმაც დასკვნა მოამზადა 2013 წლიდან აღარ ფლობდა ინდმეწარმის სტატუსსაც კი. შესაბამისად, მენეჯმენტის მოსაზრებით უნდა გადამოწმდება ჩამოწერილი მასალა და ხელახლა განიხილება მათი სამომავლო გამოყენების პერსპექტივები.

სახელმწიფო აუდიტის დასკვნაზე რეაგრების მიზნით, მოსაზრებების წარმოდგენა ეთხოვა ფინანსური ეფექტიანობის სამსახურსა და შიდა აუდიტს. აღნიშნული სუბიექტების მიერ წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდეგ გაიწერება სამომავლო რისკების აღმოფხვრის გეგმა და გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები.

სამართლიანი იქნება აღინიშნოს - წარმოდგენილი ანგარიში მნიშვნელოვანწილად იმეორებდა შიდა აუდიტის მიერ მოკვლეული პრობლემების ჩამონათვალს.

ამდენად, შიდა და გარე აუდიტების მეშვეობით დადგენილია ხარვეზების სრული სია, გამოკვლეულია ხარვეზების წარმოქმნის ძირითადი მიზეზები. ორივე გადამოწმების შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ, დაუყოვნებლივ დაიწყება შიდა და გარე აუდიტების რეკომენდაციების შესრულებაზე კონტორილის გამკაცრება და სათანადო რეაგირება, რათა მაუწყებელმა შეაჩეროს ჩვევაში გადაზრილი ხარვეზები და თავიდან აირიდოს როგორც გამეორების, ისე ახალი ხარვეზების რისკები.

საკადრო პოლიტიკა სახელფასო ბადის სამართლიანი გადანაწილება ერთ-ერთი საკვანძო თემაა.

დღეისათვის მაუწყებელში კვლავაც უცვლელი პრობლემებია, რაც ზემოქმედებას ახდენს ადამიანების შრომით განწყობებზე და შედეგზე:

1. სახელფასო გადანაწილება არასამართლიანია
2. დაუსაბუთებელია საშტატო ნუსხის შემადგენლობა და ზოგიერთი პოზიციისათვის მინიჭებული პრივილეგიები
3. არ არსებობს საპრემიო ფონდი, ამავე დროს მაუწყებლის ბიუჯეტთან მიმართებაში შეუსაბამოა პრემიის გაცემის წესი. კერძოდ, პრემიის მიზნებისა და პრემიის ვადების ურთიერთშეთავსება, ისევე როგორც პრემიის ქვედა ზღვარისათვის დადგენილი ციფრი
4. არ არის გაწერილი და ზუსტად გაანგარიშებული თითოეული ადამიანის მონაწილეობის მნიშვნელობა და შექმნილი სარგებლის საფასური
5. ყოველდღიურ ეთერზე პასუხისმგებელ პირთა ანაზღაურებები მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვა ადმინისტრაციული ფუნქციებით დატვირთული ადამიანების ხელფასისაგან.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ პრობლემური საკითხების მოგვარება მიბმულია ფუნდამენტური ცვლილებების ბოლომდე მიყვანასთან: ახალი სტრუქტურისა და სტრატეგიის დოკუმენტის მიღებასთან.

მაუწყებელში დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს საჭირო ფორმით სტრატეგიული მიმართულებების შემადგენლობები განვითარების,ახალი ამბების, შემოქმედების, ტექნიკის, ფინანსების და ადმინისტრაციის მართვისათვის.

დღევანდელი მედიაგამოწვევების ფონზე სწორად ვერ მოხდება საკვანძო საკითხების დაფარვა და გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო დასუსტდება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების ძიებაში მყოფი ორგანიზაცია, რომელსაც

დროულად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადანაწილდეს სამუშაო გუნდები და პროცესები.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ანალიტიკური გუნდი, ანალიტიკური გუნდის მაგალითი შედეგისა და გუნდურობის თვალსაზრისით ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს გუნდების დროულად შეკავშირებას, სამაუწყებლო სტრატეგიის შექმნას და ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტას.

მიმაჩნია, რომ წარმატებული შედეგი, რომელზედაც დირექტორს მოეთხოვება პასუხი, მიიღწევა მხოლოდ სისტემის სწორად გამართვის შემდეგ.ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აჭარის მაუწყებლის გუნდს აქვს პროგრესი (რაც მინიმუმმ ანალიტიკური მასალების მომზადებით შეიძლება გახდეს შესამჩნევი) თუმცა კიდევ უფრო დიდია ორგანიზაციის პერსპექტივა სწორი სამოქმედო პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის პირობებში.

მაუწყებლობა შენობის გარეშე ინფრასტრუქტურული მოუწყობლობა მაუწყებლის საქმიანობის თანმდევი ურთულესი და მწვავეპრობლემაა. სამწუხაროა, რომ დღემდე მაუწყებელი მთავრობის კუთვნილ ქონებებს იკავებს, რითაც ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული სახელმწიფო ტელევიზიის მოცემულობისაგან.

დღეისათვის დროებითი შენობები სრულიად არ შეესაბამება მაუწყებლის საჭიროებებს. მაუწყებლის ძირითადი ოფისი მეცხრამეტე საუკუნის შენობაა, რომელიც ამავე დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რადიო კი განთავსებულია მრავალბინიანი კორპუსის პირველ სართულზე, ხშირია შემთხვევა როცა მეზობლებისაგან ჩამოდის წყალი და ზიანდება როგორც ინფრასტრუქტურა, ისე შეუძლებელი ხდება მუშაობის გაგრძელება. ყოველდღიური საფრთხის წინაშეა რადიოს აპარატურა.

ამავე დროს გაუმართავია სრული ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობისათვის სახიფათოა შრომითი პირობები (უჰაერო, უფანჯრებო ოთახები, ხის შიდა კიბე, მოძველებული სახურავი, საიდანაც წყალი ჩამოდის და ა.შ.)

აღსანიშნავია, რომ სამსახურების მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ გააჩნია ოთახიც კი. შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად რთულ სამუშაო პირობებშია ტექნიკური ჯგუფები. მაგალითად, მაუწყებლის მძღოლებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში მორიგეობის დროს 10-12 საათს უწევთ მუშაობა, არ აქვთ საკუთარი მოსასვენებელი ოთახი. შემდეგ გადაღებებზე გასვლამდე მოცდა უწევთ ავტომობილში ან დაცვის ოთახში, რომელიც თავის მხრივ, მხოლოდ რამდენიმე სკამითაა აღჭურვილი. ეს და სხვა გარემოება კი მნიშვნელოვნად აუარესებს სამუშაო პირობებს სამსახურში. მთლიანად მორალურადაა მოძველებული შიდა ინფრასტრუქტურა, რას ანელებს სამუშაო პროცესს და სიახლის დანერგვის შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან კომუნიკაციის შემდეგ შედგა აჭარის ტელევიზიის შენობის არქიტექტურული გეგმა და გაიწერა ცვლილებების ხარჯთაღრიცხვა, რაც მთლიანობაში დაახლოებით 93 000 ლარზე მეტ ხარჯს მოითხოვს. საჭიროება მოიცავს აჭარის ტელევიზიის მესამე სართულის რეკონსტრუქციას,

სამუშაო ოთახების გაფართოებასა და სარკმელებით უზრუნველყოფას, შიდა კიბის ცვლილებასა და გარე ფასადის დამუშავებას, ისევე როგორც აივნების ცვლილებას.

აღნიშნული თხოვნა წარდგენილია სააგენტოში და მაღალი მოლოდინით, საბოლოო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა და აჭარის მაუწყებლის თანამშრომელთა შრომითი პირობების გაუმჯობესება. თუმცა ეს კორექცია ვერ შეცვლის მაუწყებლის მთავარ საჭიროებას ჰქონდეს საკუთარი და მედიაორგანიზაციის საჭიროებაზე გათვლილი შენობა.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტ ჯენი კვანტალიანსა და ოპერატორ ანდრო ქაჩიბაიას სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ისინი შექმნილი ვითარების გადასაღებად სარფში დილიდან იმყოფებოდნენ. დეტალების გასარკვევად კი თურქულ მხარეს ცდილობდნენ გადასვლას. საქმეში უკვე ჩაერთო ქართული და თურქული მხარე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება. http://ajaratv.ge/news/ge/20602/sarfshi-momkhdar-incidentze.html.html

ბათუმში თურქეთის გენერალური კონსულის განცხადებით, დღეს სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე მომხდარი ფაქტის შესწავლა მიმდინარეობს. სამართალდამცველები ვიდეოჩანაწერებს ეცნობიან.

„თუ რომელიმე თანამშრომლის ბრალეულობა გამოიკვეთა, იგი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება. პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება. ქართულ და თურქულ მხარეს ძალიან კონსტრუქციული ურთიერთობა აქვთ.“ - ამბობს იასინ თემისქანი. http://ajaratv.ge/news/ge/20583/--%EF%BF%BDtu-romelime-tanamshromlis.html.html

5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

გრძელდება გადაცემების შეფასება/კალკულაცია და იდეების შიდაკონკურსი, რაც მაუწყებელს გადაცემების განახლებისა და ახლებური დაგეგმვის ერთადერთი შესაძლებლობაა.

შედგა დამატებითი შეხვედრები გადაცემების გუნდებთან, თუმცა არსებული გადაცემების დაგეგმვა, პროექტების დამტკიცების აქამდე არსებული პოლიტიკა არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად შემუშავდეს მიდგომა/შეფასების სისტემა „პროგრამა=პრიორიტეტს“. ამიტომ პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის შესრულების მაჩვენებელზე მთავარი აქცენტი ისევ საეთერო ბადის შემდგომი განახლებისას გაკეთდება.

გაგრძელდა შიდა იდეების კონკურსი და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების ვადაა 2017 წლის 01 ნოემბერი.

საეთერო ბადის სრული განახლება კი იგეგმება სატელევიზიო რეიტინგების მთვლელი ორივე კომპანიის დასკვნების და რეკომენდაციების საფუძველზე, 2017 წლის დეკემბრის ბოლოდან.

ამ ეტაპზე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება გარეწარმოების კოეფიციენტის შეთანხმება და შესრულება.

#ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების და შემოქმედების გუნდები ქმნიდნენ კონტენტს, რომელიც შეესაბამებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. [4]

კვარტლის მთავარი სიახლე იყო მაუწყებელში ანალიტიკური მიმართულების გუნდის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკური გუნდი კორექტირებული სტრუქტურის რგოლადაა წარმოდგენილი. უკვე მიღებული გადაწყვეტილება პირობითია, არ არის გაწერილი გუნდის ფუნქციები და სხვა ფორმალობები, თუმცა ეს ნაბიჯი წარმოადგენდა პირვე მცდელობას რა შეიძლებამოჰყვეს გუნდების აწყობას მაუწყებელში. ამ ეტაპზე, გუნდის ამოცანა იყო ორი ძირითადი პროდუქტის „მთავარი აჭარაში“ და „კვირის მთავარი“ შექმნაზე მუშაობა.

ორივე გადაცემის ფორმატი მთავარი საინფორმაციო ხაზია, რომელშიც ანალიტიკური და სიღრმისეული გაშუქების სტანდარტით მუშავდება მნიშვნელოვანი თემები. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ორივე გადაცემა დღეისათვის მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო ველის შემქმნელია.

გადაცემების მომზადების პროცესში კვლავაც ჩართული იყო ევროპის საბჭოს დაფინანსებით მოწვეული ექსპერტი ნათია კუპრაშვილი. ანალიტიკურმა გუნდმა მიიღო რეკომენდაციები როგორც სოციალური თემატიკის მოკვლევისა და ანალიზის, ისე ანონსირების და პრომოუშენის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მაუწყებელმა დაიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის „ღია სივრცე“ პირდაპირ ეთერში განთავსებაც. ეს არის პირველი შემთხვევა ბოლო პერიოდში, როცა მაუწყებელში საზოგადოების ჩართულობით შეიქმნა სადისკუსიო სივრცე. მაუწყებლის წამყვანი აუდიტორიასთან ერთად მსჯელობს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე და საჭიროებებზე.

[4] კვარტალის გადაცემები https://drive.google.com/file/d/0B6660aGGyafPRDJnRVNvWGU0czQ/view

გადაცემების მომზადების პროცესში კვლავაც ჩართული იყო ევროპის საბჭოს დაფინანსებით მოწვეული ექსპერტი ნათია კუპრაშვილი.გადაცემის წამყვანმა მიიღო რეკომენდაციები როგორც სოციალური თემატიკის მოკვლევისა და ანალიზის, ისე ანონსირების და პრომოუშენის მიმართულებით. ამავე დროს გადაცემას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ტელეწამყვანმა ნინო ზაუტაშვილმა. ნინო ზაუტაშვილი საკუთარი ხარჯებითა და მხარდაჭერის სურვილით ჩაერთო ჩვენ სამუშაო პროცესებში. რეკომენდაციები გასცა როგორც ანონსის გადაღების, ისე გადაცემის ფორმატის დახვეწისა და აუდიტორიის მართვის მიმართულებით. ორი გამოცდილი ექსპერტის რჩევა გახდა კიდეც გადაცემაზე მომუშავე გუნდის მთავარი დახმარება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საარჩევნი პროცესების კანონისმიერი გაშუქების მიზნით პოლიტიკური დებატების და პოლიტიკური პარტიების პრეზენტაციებს, პოლიტიკურ დებატებს მაუწყებლის ტელე და რადიო ეთერი პარალელურ რეჟიმში დაეთმო. თოქ შოუები ხელმისაწვდომია მაუწყებლის ვებ გვერდსა და სოციალურ სივრცეში.

ამასთანავე, არჩევნები 2017 - საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის მიერ შემუშავდა საარჩევნო პროცესების გაშუქების დოკუმენტი, მასალები განთავსდა ერთიან სივრცეში http://ajaratv.ge/article/ge/90 გაშუქების ტენდენციებისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსების თაობაზე კი პოლიტიკური პარტიების ინფორმირება დირექტორის კორესპონდენციით შედგა.

არჩევნები 2017 - ახალი ამბების ერთად დაჯგუფება და ხელმისაწვდომობის გაზრდა http://ajaratv.ge/category/ge/10/ სრულყოფილად გაშუქების მიზნით სპეციალური განყოფილება შეიქმნა. ამ სივრცეში შესაძლებელია მოიძებნოს თვითმმართველობის არჩევნების ყველა აქტივობა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგანგებო რეჟიმის პირობებში მუშაობდა ხანძრების გაშუქება ბორჯომსა და აჭარის მაღალმთიანეთში

დაინტერესებული მოქალაქეების ინფორმირება მაუწყების ცხელი ხაზით და სოციალურ ქსელში საცნობებით ინფორმაცია გავნთავსებულია მაუწყებლის ეთერსა და სოციალურ ქსელებში https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1436884803054408/

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სპორტული რედაქციის ჩამოყალიბებას. სიახლეა ისიც, რომ 21:00 საათიან მთავარ საინფორმაციოში სპორტული ბლოკი „მთავარი სპორტში“ დაემატა.

ამავე დროს, ჩვენი ყურადღების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო აჭარის საფეხბურთო კლუბების თამაშების მხარდაჭერასა და აქტიური გაშუქებას.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოვლენების მულტიმედიურ გაშუქებას და მომხმარებელს, გარდა იმისა, რომ შეუძლია ინფორმაცია მიიღოს ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით, უკვე შეეძლებათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ონლაინ არხის მეშვეობით. ახალი ამბების სამსახურისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება, ასევე უფრო მაღალი პრიორიტეტით სარგებლობს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა.

ახალი ამბების სამსახური ამ გადაწყვეტილებით კიდევ უფრო უზრუნველყოფს, საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებას არამარტო რეგიონის, არამედ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ამბებით.

რაც შეეხება რეიტინგულ მაჩვენებლებს ბოლო 3 თვის მონაცემები დათვლილი იყო შემდეგი პარამეტრებით: მაყურებელი 4 წლის და ზემოთ მთელი საქართველოს მაშტაბით,

ცვლადებად არჩეული იყო მაყურებლის საერთო რაოდენობა საშუალოდ წუთში აბსოლიტურ მაჩვენებლებში (Rtg 000); იგივე მონაცემი შეფარდებით მაჩვენებლებში (Rtg %); აქტიური მაყურებლის წილი არხებთან მიმართებაში (Shr %) და მაყურებლის წვდომა არზე (Rch %).

საკვლევი პერიოდის განმავლობაში 1.06.17 – 30.09.17 აუდიტორიის ზომა შეადგენდა საშუალოდ 1120 მაყურებლამდე წუთში, შეფარდებით მაჩვენებლებში მონაცემი შეადგენს 0,07 %, ხოლო წილობრივი მონაცემი კი 0,51 % -ს შეადგენს. არხის პოზიცია სხვა არხებთან მიმართებაში არ შეცვლილა, ზაფხულის პერიოდის პასიური სატელევიზიო სეზონის გათვალისწინებით, მოსალოდნელია არხების და გადაცემების გააქტიურება შემოდგომის შუა რიცხვებიდან.

საანალიზო პერიოდში არხის მაყურებელთა დინამიკის მრუდი შედარებით სწორხაზოვანია



კვარტლის მთავარი სიახლე იყო აჭარის მაუწყებლისა და რადიო თავისუფლების ერთობლივი პროდუქტი - გოგი გვახარიას „ანარეკლები“ რომელიც 2017 წლის 12 სექტემბრიდან მაუწყებლის ეთერშია განთავსებული. გადაცემა წარმოადგენს ერთ-ერთ განსხვავებულ და მაღალ ინტელექტუალურ მედიაპროდუქტს ქართულ ტელესივრცეში.

მზადდება აჭარის მაუწყებლისა და რადიო თავისუფლების კიდევ ერთი ერთობლივი პროდუქტი - მოლაპარაკებები მიმდინარეობს სალომე ასათიანთან გადაცემისათვის „ვილაპარაკოთ“ აღნიშნული გადაცემა იქნება კიდევ ერთი სიახლე და საჩუქარი აჭარის ტელევიზიის მაყურებლებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ანალიტიკური გადაცემა განთავსდება მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე.

#რადიო - შედეგები და საჭიროებები

მესამე კვარტალის მთავარი სამუშაო იყო რადიოს, როგორც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პლატფორმის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისათვის. ამ დროის განმავლობაში დასრულდა რადიოს შენობის ადაპტირება. ამიერიდან მაუწყებელი ხელმოსაწვდომია ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის.

ამავე დროს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ძირითადი ყურადღება დაეთმო რადიოს ახალი სეზონის დაწყების საკითხს. სექტემბრის თვეში საეთერო ბადის სრული განახლება იგეგმებოდა, თუმცა ადაპტირებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების გაჭიანურების გამო,განახლება მხოლოდ ორი მიმართულებით დილის და პოლიტიკურ გადაცემებთან დაკავშირებით მოხდა.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა განახლებული ეთერისთვის მზადების პროცესი. კერძოდ: „პროგრამა=პრიორიტეტს“ პროექტის ფარგლებში შეთანხმდა ახალი გადაცემების საეთერო ბადეში განთავსების საკითხები.

მომზადდა რადიოს ეთერის შეფუთვისათვის ძირითადი მასალები:არტები,ტიხრები და პრომოები. განახლებული საცნობებით ჩაეშვა ეთერში „დილა 104.5“ და პოლიტიკური გადაცემები.

მესამე კვარტლის განმავლობაში რადიოს საეთერო ბადე და პრიორიტეტების შესრულების მაჩვენებელი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო იყო. შეიცვალა დაგეგმარება, რაც ახალი პრიორიტეტების შესრულების გარანტია უნდა გახდეს.

გაგრძელდა სამუშაოები რადიოს ვიზუალიზაციის პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს რადიოს საეთერო სტუდიაში ვიდეო კამერების დამონტაჟებას და რადიოს საიტზე ეთერის ტრანსლირებას, რაც იმთავითვე გულისხმობს არხზე კიდევ ერთი, ახალი სამაუწყებლო პლატფორმად ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიმართულებით ცვლილებაა, რადგან მიღებული ახალი ტექნიკური გადაწყვეტილება. „რადიო თავისუფლების“ გამოცდილების გაზიარებს შემდეგ, გადაწყდა, რომ ვიზუალიზაცაზე მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევისაგან ამ ეტაპზე მაუწყებელი უარს ამბობს. დასაწყისისათვის OSMO-ს მეშვეობით უნდა მივიღოთ ვიზუალიზაციის საცდელი მაუწყებლობა. გამართლების შემთხვევაში, კი დავგეგმოთ შემდეგი ფინანსური და ტექნიკური ცვლილებები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მაუწყებელმა დაზოგა 40 000 ლარამდე, რაც გადანაწილდა სხვა ტექნიკურ საჭიროებებზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესაძლებელი გახდა რადიოს შენობის ფასადის მოწესრიგება. დასრულდა შენობის შიდა კორექციული სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში ისევ პრობლემურია აჭარის რადიოს ვებ გვერდი www.radioajara.ge განახლება დიდ ადამიანურ რესურსებს მოითხოვს და ამავე დროს ნაკლებია ვიზიტორთა ოდენობა. შესაძლოა ეს იყოს 10-15 ადამიანი დღის მანძილზე. იგეგმება რადიოსა და ტელევიზიის ვებ გვერდების გაერთიანება ახალი ამბების ნაწილში. საგულისხმოა, რომ რადიოს ვიზუალიზაციის საკითხის გამართვის შემდეგ მაუწყებლის პროექტები მულტიმედია ფორმატში გადავა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა რადიოს ღამის მუსიკალური ეთერის სატელევიზიო ფორმატში ინტეგრირება. ამდენად, FM104.5 ხელმისაწვდომია

ტელემაყურებლებისათვის ღამის ეთერში აჭარის ზღვისპირა ხედებისა და აჭარის მაღალმთიანი რაიონების პეიზაჟებით. გადაწყვეტილების საფუძველია რადიო აჭარას და აჭარის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია.

#ინტერნეტი- შედეგები და საჭიროებები

ვფიქრობ, მედიის მომავალი ინტერნეტია, ამიტომაცაა, რომ მაუწყებლის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია გამართოს ვებ პლატფორმა, მოხდეს მაუწყებლის სწორი და მყარი პოზიციონირება სოციალურ ქსელებში. გათანამედროვდეს ის ინსტრუმენტები, რასაც მაუწყებელი იყენებს ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისას.

აჭარის მაუწყებლის ვებ გვერდი, ძირითადად, ფუნქციონირებდა ტელევიზიის მიერ შექმნილი კონტენტით და რადიოს მსგავსად, სრულად და იდენტურად ხდებოდა იმ მასალების ვებ გვერდზე განთავსება. შესაბამისად, მომხმარებლის განწყობების და ქცევის ცვლილებისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება საჭირო.

ინტერნეტპლატფორმის მოკლე მიმოხილვა:

Google მონაცემებით, ბოლო სამი თვის განმავლობაში საიტზე 279 891 ახალი მომხმარებელიშემოვიდადასაშუალოდ 2 ახალი ამბავიდაათვალიერა.

საერთოჯამშიკი, მოცემულპერიოდში (1 ივლისიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით) 600 ათასზე მეტი მომხმარებელი იყო მაუწყებლის ვებგვერდზეშ ემოსული. აქედან, 39% ახალი ვიზიტორი.

TOP.GE მონაცემებით, საიტზე ყველაზე აქტიური პერიოდი ივლისის ბოლო ორი და აგვისტოს პირველი კვირა იყო, სადაც უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა გაორმაგდა.

საშუალოდ, ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით, 4-დან 5-ათასამდე მომხმარებელი შემოდიოდა ვებ-გვერდზე. (რამდენიმე დღე დაფიქსირდა, როცა ძალიან დიდი რაოდენობის მკითხველი იმყოფებოდა საიტზე. ამ დღეებში აქტიურად გაშუქდა უბედური შემთხვევები). საანგარიშო პერიოდში, საიტზე შემომსვლელთა მინიმალური რაოდენობა 3000 დაფიქსირდა.

აღნიშული მონაცემები ოდნავ ნაკლებია წინა კვარტლის მონაცემებთან, რაც ასევე აიხსნება ვებ გვერდზე დასაქმებულ პირთა საშვებულებო/სადეკრეტო პერიოდით. თუმცა ვებ პლატფორმის განვითარების ტენდენცია შენარჩუნებული და მყარია.

რაც შეეხება სოციალურ ქსელს, ჩვენი ყველაზე მოხმარებადი სოციალური პლატფორმა ფეისბუქია. (მაგალითად,ტვიტერიდანსაიტზე 02 პროცენტია გადმოსული).

ფეისბუქის გვერდის მომწონებელთა რაოდენობა ივნისის ბოლოს 33 ათასი 300 იყო, 8 ოქტომბრის მონაცემებით 39 ათასს გადააჭარბა. გაიზარდა 6000 ათასი მომწონებლით. კვირაში საშუალო ზრდის მაჩვენებელი კი 350 მომხმარებელია.

მოქალაქეების აქტივობა (პირდაპირი კომუნიკაცია) არ გაზრდილა.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა საიტზე ერთი მომხმარებლის მიერ ინფორმაციის ნახვა. თუ მანამდე საშუალოდ ერთი მომხმარებელი ერთ ნახევარ ახალ ამბავს ნახულობდა (ანუ გაზიარებული მასალით შემოდიოდა საიტზე და ყოველი მეორე სხვა ამბავსაც ხსნიდა. დღეს ეს მაჩვენებელი TOP.GE მონაცემებით 2,8% -ია).

ამ მონაცემებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მაუწყებლის საიტს მკითხველი გაუჩნდა, რომელიც მხოლოდ სათაურის გამო არ ხსნის ამათუიმ ლინკს და სხვაინფორმაციასაც ეცნობა)

ფეისბუქის მეშვეობით შეგვიძლია დავადგინოთ გენდერული ნიშანიც: 59% ჩვენი მომხმარებლები ქალია, 41 % კი მამაკაცი.

ყველაზეაქტიურიმომხმარებლისსაშუალოასაკი 25 დან 34 წლამდე.

საერთო ჯამში,ჩვენი აუდიტორია გამრავალფეროვნდა და ფეისბუქისმონაცემებით 18 დან 44 წლამდე ადამიანები ინტერესდებიან ჩვენი ახალი ამბებით.

საერთოჯამში, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, საიტზე ერთხელ მაინც შემოვიდა 1,073,674 მომხმარებელი. თვეში საშუალოდ კი 101,666 ვიზიტორი.

ინტერნეტპლატფორმის ვრცელი მიმოხილვა:

აჭარის ტელევიზია ინტერნეტ სივრცეში, ძირითადად, ორი პლატფორმის ინსტრუმენტებს იყენებს თავისი პროდუქციის პოზიციონირებისთვის. ეს არის, თავად მაუწყებლის საიტი (www.ajaratv.ge) რადიოს საიტი (www.radioajara.ge პოზიციონირება სუსტია და ნაკლებპერსპექტიულია ამგვარი დაგეგმარება) და მეორე მხრივ, ვიყენებთ სოციალური ქსელის, ფეისბუქის პლატფორმას. ორივე შემთხვევაში, მაუწყებელი მზარდ ტენდენციებს აფიქსირებს და დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე თუ წლიდან წლამდე მომხმარებელთა მონაცემები მზარდია. დეტალური ანალიზისთვის განხილვა დავიწყოთ ვებ-პლატფორმით.

2017 წლის მესამე კვარტლის (ივლ-სექ) მონაცემების მიხედვით, ვებ-გვერდს ჰყავდა 287 000-ზე მეტი ვიზიტორი (უნდა აღინიშნოს, რომ საანგარისო პერიოდში 40%-მდე ახალი ვიზიტორი დაფიქსირდა), რომელთა ჯამურმა შემოსვლამ საიტზე 625 ათასს სესიას გადააჭარბა. ამ ადამიანებმა საანგარიშო პერიოდში ნახეს ვებ გვერდის 1 მილიონ 200 ათასამდე გვერდი (ნიუსი, გადაცემა და ა.შ. იგულისხმება კონკრეტული ლინკი). შესაბამისად 1 სესიის დროს, მომხმარებელი საშუალოდ 1,91 გვერდს ნახულობდა ჩვენს პლატფორმაზე.

ამ მონაცემების მიხედვით, 1 სესიის დროს, ვებ-მომხმარებელი საიტზე საშუალოდ 1 წუთსა და 39 წამს ჩერდებოდა. ჩვენი ტიპის ვებ-გვერდისთვის ეს საშუალო მაჩვენებელი არც თუ ისე ცუდია, რადგანაც ძირითადად, ჩვენი აქტიური მომხმარებლები ვებ-გვერდზე შემოდიან (გადმოდიან) ახალი ამბების გასაცნობად და გამომდინარე იქედან, რომ ე.წ. ლაივ-სინქრონის საშუალო (უხეშად გამოთვლილი) და სიუჟეტების საშუალო დრო წარმოადგენს სწორედაც 2 წუთამდე პერიოდს. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია ე.წ. ნულოვანი მაჩვენებელი (72,39%) - ნულოვანი მაჩვენებელი ნიშნავს, ჩვენს გვერდზე გადმოსულ მომხმარებელს, რომელიც არანაირ მოქმედებას აკეთებს (ვიდეოსაც კი არ რთავს). შესაძლებელია, კითხულობდეს მხოლოდ ნიუსს და არ რთავდეს ვიდეოსაც, ამის დათვლა შეუძლებელია.

მიუხედავად, ნულოვანი მაჩვენებლის, ჩემი აზრით, მაღალი მაჩვენებლისა, საერთო შეფასებით ვებ-გვერდი შესაძლებელია მივიჩნიოთ მაუწყებლის პროდუქციის პოზიციონირებისთვის ერთ-ერთ აქტიურ ინსტრუმენტად და ის დღეისთვის საკმაოდ მაღალ შედეგებს აფიქსირებს. ამაში დავარწმუნებს compare analysis. თუ ჩვენ შევადარებთ ერთმანეთს ამ მონაცემებს 2016 წლის ანალოგიურ მონაცემებთან, დავინახახვთ, რომ მომხმარებელთა რაოდენობა გაზრდილია 160 000-ით, სესიების რაოდენობა გაზრდილია 493 ათასით, ნანახ გვერდთა რაოდენობა გაზრდილია 2 ჯერ.

	2016 (მე-3 კვარტალი)	2017 (მე-3 კვარტალი)

მომხმარებელი	127 399	287 377 ^
სესია	264 132	625 137 ^
გვერდის ნახვა	597 693	1 193 622 ^
საშუალო დრო	02:07	01:39
გვერდი / სესია	2,26	1,91
ნულოვანი მაჩვენებელი	71,53%	72,39%

(ივლისი - სექტემბერი - 2017)

(ივლისი - სექტემბერი - 2016)

წარმოგიდგენთ 2017 წლის მესამე კვარტლის მონაცემები, ჩაშლილად, თვეების მიხედვით.

ივლისის თვის მონაცემების მიხედვით (დანართი 1 - ივლისი- ოვერვიუ; დანართი 2 - ივლისი - ქალაქები), მომხმარებელთა რაოდენობამ შეადგინა 108 ათასზე მეტი ადამიანი (რომელთაგან 36,2% იყო ახალი მომხმარებელი), რომლებიც ჩვენს ვებ-გვერდზე შემოვიდნენ 212 ათასჯერ (სესია) და მოინახულეს 388 ათასზე მეტი გვერდი. მომხმარებელი ჩვენს ვებ-ზე საშუალოდ ჩერდებოდა 1 წუთსა და 31 წამს. ხოლო ნულოვანი მაჩვენებელი შეადგენს 75,85%-ს.

ასევე აღსანიშნავია, რომ სესიების უმეტესობა (39,7%) განხორციელდა ქალაქ ბათუმიდან, ხოლო თბილისიდან 2017 წლის ივლისის თვეში ვებ-გვერდზე განხორციელდა სესიების 38,33%. დაუდგენელია 11,53% და 4-ეულს ასრულებს სტამბოლი 1,12%ით.

აგვისტოს შემთხვევაში მონაცემები ოდნავ მზარდია (დანართი 3 - აგვისტო - ოვერვიუ; დანართი 4 - აგვისტო - ქალაქები) და მომხმარებელთა რაოდენობამ შეადგინა 119 ათასზე მეტი (მათგან 39,5% ახალი მომხმარებელი), რომლებმაც განახორციელეს 223 ათასზე მეტი სესია და მოინახულეს ჩვენი საიტის 431 ათასზე მეტი გვერდი. დროის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 01:42, ხოლო ნულოვანმა მაჩვენებელმა იკლო 2%-ით და მივიღეთ 69,47%.

ქალაქების მიხედვით სესიების შემთხვევაში თბილისიდან განხორციელებული სესიები გაიზარდა 46,29%-მდე, ხოლო ბათუმიდან განხორციელებული დაეცა 29,38%-მდე.

სექტემბრის თვე წინა თვესთან შედარებით მცირედი წარუმატებლობით ხასიათდება (დანართი 5 - სექტემბერი - ოვერვიუ; დანართი 6 - სექტემბერი - ქალაქები), რადგანაც მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდა 104 ათასამდე (რომელთაგან ახალ მომხმარებელთა მაჩვენებელმა 41%-ს გადააჭარბა), რომლებიც საიტზე 189 ათასჯერ შემოვიდნენ და მოინახულეს 374 ათასზე მეტი გვერდი, ანუ თითო შემოსვლის დროს მომხმარებელი საშუალო 1,97 გვერდს ნახულობდა. ვიზიტების საშუალო დრომ შეადგინა 01:44, რაც იმეორებს წინა ორი თვის ტრენდს, ხოლო ნულოვანი მაჩვენებელი ამ შემთხვევაში წინა ორი თვის საშუალო მაჩვენებელს, 71,94%-ს გაუტოლდა.

ქალაქებთან მიმართებით, აგვისტოში თბილისი კვლავ პირველ ადგილზეა, 43,12%ით (წინა თვე, 46,29%), ხოლო ბათუმი მეორე ადგილზე უკვე 30,31%ით.

საანგარიშო მესამე კვარტალში ვებ-გვერდზე მომხმარებლები ძირითადად სოციალური ქსელიდან ხვდებოდნენ (დანართი 7 - ვებ-გვერდზე გადმოსვლა). პირდაპირ შემომსვლელთა რაოდენობას (68 ათასი) სოციალური ქსელიდან გადმომსვლელთა რაოდენობა 415 ათასით აღემატება.

რაც შეეხება საანგარიშო კვარტალში ვებ-გვერდის ყველაზე პოპულარული კონტენტის სამეულს - ცუდ ამბებს უკავშირდება და შემდეგნაირად გამოიყურება.

1. http://www.ajaratv.ge/mobile/?m=news&id=18816&lang=ge (ავეთქება)
2. http://www.ajaratv.ge/mobile/?m=news&id=18429&lang=ge (მკვლელობა)
3. http://www.ajaratv.ge/mobile/?m=news&id=17841&lang=ge (ზღვაში დახრჩობა)

ზოგადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (მომხმარებლები ასაკის და სქესის მიხედვით) წარმოდგენილია დანართ 8-ში.

4.

დანართი 1 (2017 წლის ივლისი - ოვერვიუ)

დანართი 2 (2017 წლის ივლისი - ქალაქები)

	City	Sessions	% Sessions
1.	Batumi	84,262	39.70%
2.	Tbilisi	81,356	38.33%
3.	(not set)	24,476	11.53%
4.	Istanbul	2,376	1.12%

დანართი 3 (2017 წლის აგვისტო - ოვერვიუ)

Sessions	Users	Page Views	Pages/Session
223,235	119,286	431,022	1.93

Avg. Session Duration	Bounce Rate	% New Sessions
00:01:42	69.47%	39.44%

დანართი 4 (2017 წლის აგვისტო - ქალაქები)

	City	Sessions	% Sessions
1.	Tbilisi	103,342	46.29%
2.	Batumi	65,596	29.38%
3.	(not set)	33,442	14.98%
4.	Istanbul	2,865	1.28%

დანართი 5 (2017 წლის სექტემბერი - ოვერვიუ)

Sessions	Users	Page Views	Pages/Session
189,651	104,064	374,301	1.97

Avg. Session Duration	Bounce Rate	% New Sessions
00:01:44	71.94%	41.04%

დანართი 6 (2017 წლის სექტემბერი - ქალაქები)

	City	Sessions	% Sessions
1.	Tbilisi	81,778	43.12%
2.	Batumi	57,488	30.31%
3.	(not set)	30,321	15.99%
4.	Istanbul	2,239	1.18%

დანართი 7 (ვებ-გვერდზე გადმოსვლა)

1	Social	485,337
2	Direct	68,832
3	Organic Search	53,400
4	Referral	17,361
5	(Other)	207

დანართი 8 (მომხმარებლები ასაკის და სქესის მიხედვით)





როგორც ვებ-გვერდის ანალიზიდან ირკვევა, მომხმარებელთა ძალიან დიდი რაოდენობა საიტზე ხვდება სოციალური ქსელიდან, შესაბამისად, ფეისბუქი ეს არის ჩვენი საიტის ძირითადი ინსტრუმენტი და მკვებავი. ბუნებრივია, სოციალური ქსელიც საჭიროებს გარკვეულ ანალიზს და ქვემორე დოკუმენტში მოგაწვდით ინფორმაციას, მოწონებების (დანართი 9), რიჩის (წვდომის) (დანართი 10), ინგეიჯმენტის (გამოხმაურების) (გრაფიკები გახილვის ტექსტის დროს) და ტოპ-პოსტების(დანართი 11) შესახებ საანგარიშო კვარტლის პერიოდში.

პირველი ივლისის მონაცემებით, გვერდს 33 288 მომწონებელი ჰყავდა, პირველი აგვისტოს მონაცემების მიხედვით კი - 34 867. მზარდია მონაცემები სექტემბრის თვეშიც და პირველ სექტემბერს ლაიქები 36 711-მდე გაიზარდა, ხოლო თვის ბოლო, უკვე 30 სექტემბერს მომწონებელთა რაოდენობამ 39 277 შეადგინა. ჩვენი მონაცემები შეგვიძლია შევადაროთ რამოდენიმე გავლენიან და საიმედო მედიასაშუალებას. ამ შედარების თანახმად ცხადი ხდება, რომ მომხმარებელი თანდათან სანდო და მნიშვნელოვან წყაროდ აღიქვამს აჭარის მაუწყებელს.

	01 ივლისი	01 აგვისტო	01 სექტემბერი	30 სექტემბერი
Ajaratv	33 288	34 867	36 711	39 277
Interpressnews				83 206
Netgazeti				64 862
Batumelebi				24 481

რაც შეეხება პოსტებზე წვდომის (reach) მაჩვენებელს. საანგარიშო კვარტალში, ყველაზე მაღალი წერტილი გამოვლინდა 25 სექტემბერს 200 000-ერთეულზე მეტი, შემდეგ მოდის 16 აგვისტოს მონაცემი - 141 000 ერთეული, ხოლო სამეულს ასრულებს 6 აგვისტოს მონაცემი 121 000 ერთეულით. შედარებისთვის, წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 3 ტოპ-წერტილი იყო 132 000, 51 000, 33 000 ერთეული. ბუნებრივია, მზარდი ტენდენცია რეალურად შესამჩნევია.

ფბ წვდომა(reach) შედარებითი ანალიზი მესამე კვარტლის მონაცემებით (3 ტოპ-წერტილი)			
2017 (მესამე კვარტალი)	25 სექტემბერი	16 აგვისტო	6 აგვისტო
	200 000	141 000	121 000
2016 (მესამე კვარტალი)	8 ივლისი	01 სექტემბერი	31 ივლისი
	132 000	51 000	33 000

სოციალურ ქსელ ფეისბუქში, ინგეიჯმენტად მიჩნეულია მომხმარებლის რეაქცია კონკრეტულ პოსტზე, მაგალითად კომენტარი, გაზიარება, პოსტის მოწონება და სხვ.

ბუნებრივია ინგეიჯმენტის მაჩვენებლის ზედაპირულად გამოტანა არ შეიძლება, რადგანაც ამ მაჩვენებლის ანალიზისას მთავარ ინსტრუმენტს შედარებითი ანალიზი წარმოადგენს, რისთვისაც 2017 წლის მესამე კვარტლის მონაცემები უნდა შევადაროთ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მაგალითად, მიმდინარე წლის მესამე კვარტლის რეაქციების საშუალო მაჩვენებელი მერყეობდა 1409-1489 ერთეულებში, მაშინ როცა წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენს 295-475-ს (გრაფიკი 1; გრაფიკი2)

გრაფიკი 1



გრაფიკი 2



რაც შეეხება, კომენტარების რაოდენობას, დადებითი ტენდენციები ამ შემთხვევაშიც ფიქსირდება. 2016 წელს საშუალო მაჩვენებელი მერყეობდა 27-51-ის ფარგლებში, ხოლო 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებელი მერყეობს 139-162 დერეფანში (გრაფიკი3; გრაფიკი4)

გრაფიკი 3

გრაფიკი4

ინგეიჯმენტის მაჩვენებლის განხილვისას, აუცილებელია შევეხოთ პოსტების გაზიარების რაოდენობასაც, რადგანაც ეს არის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი ახალი მომხმარებლის მოზიდვისათვის.

2016 წლის საანგარიშო პერიოდში გაზიარებების საშუალო მაჩვენებელი მერყეობდა 112-175 შუალედში, ხოლო 2017 წელს 408-453 დერეფანში. (გრაფიკი 5; გრაფიკი 6)



ვიდეოების ყურებადობა არის კოლოსალურად გაზრდილი. 2016 წელს თუ კი საანგარიშო პერიოდში ნანახი იქნა ჩვენი ვიდეოების თითქმის 4 ათასი წუთი, 2017 წელს იმავე მაჩვენებლის მიხედვით 1,7 მილიონი წუთი იქნა ნანახი, ხოლო 2017 წლის მესამე კვარტლის ეს მონაცემი 45%ით მეტია წინა კვარტლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. ხოლო რაც შეეხება ვიდეოების ყურებადობას, 2016 წლის მესამე კვარტალში 172 000-ს აღემატებოდა, ხოლო 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში თითქმის 2 მილიონს უტოლდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ამავე წლის წინა კვარტალთან შედარებით 36,6 % ით არის გაზრდილი.

2016 - ვიდეოები



2017 - ვიდეოები



რაც შეეხება ტოპ-ვიდეოებს ჩვენს ფბ-გვერდზე საანგარიშო პერიოდში, მათი ჩამონათვალი შემდეგნაირია:

(დანართი 12)



8:53	თურქმა მებაჟეებმა აჭარის ტელევიზიის გადამღებ ჯგუფს საზღვრის გადაკვეთი...	09/25/17 12:47AM	260.5K	119.9K
8:53	თურქმა მებაჟეებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და...	09/25/17 12:48AM	114.3K	61K
1:29	უცხო სუნელი როგორ მოვამზადოთ ჩახახი. ეს უნდა ნახო და გასინჯო! უცხ...	08/24/17 12:15PM	48.2K	72K
10:03	#მთავარიაჭარაში #დელფინებისპარტნიორი ✓...	08/05/17 10:52AM	45.3K	39.8K

რაც შეეხება ფბ-გვერდის დემოგრაფიულ მაჩვენებელს, ვებ-გვერდისგან, ფეისბუქზე ქალთა რაოდენობა აჭარბებს მამაკაცებს, ხოლო ასაკობრივი სეგმენტაცია თითქმის ანალოგიურია.



დანართი 9

დანართი 10

2017 (ივლისი - სექტემბერი)



2016 (ივლისი - სექტემბერი)



ცხადია, მაუწყებლის სამ პლატფორმას შორის, ზრდადია ინტერნეტის მიმართულება. ეს მონაცემები შესაბამისობაშია მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარების დინამიკასთან. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ყველაზე ხშირად მომხმარებლები მაუწყებლის გვერდზე ტელეფონით შემოდიან. შესაბამისად, მაუწყებელმა სამომავლო განვითარებისათვის უნდა იზრუნოს მობაილ აპლიკაციაზე. მით უფრო, როცა მომხმარებელთა ძირითადმა ნაწილმა სმარტფონებსა და ტაბლოიდებზე კარგახანია გადაინაცვლა.

<u>კვარტლის წარმატებული საგრანტო პროექტები</u>

1. საანგარიშო პერიოდში ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსდა საგრანტო პროექტი, რომელიც გულისხმობს აჭარის მაუწყებლისა და „რადიო თავისუფლების“ ერთობლივი გადაცემის„ანარეკლების“ მაუწყებლის ეთერში განთავსებას. საანგარიშო პერიოდში უკვე დაიწყო გოგი გვახარიას საავტორო გადაცემა „ანარეკლები“ გადაცემას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა აუდიტორიის მხრიდან, რაც აისახა კიდეც მაუწყებლის ვებ გვერდსა და მაყურებელთა ოდენობაზე.
2. მაუწყებელსა და ა(ა)იპ “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს“გაფორმდა კონტრაქტი. პროექტი ითვალისწინებს მაუწყებლის გადაცემაში „დილის ტალღა-ს“ ეთერში საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის [NED] მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის “დემოკრატიული იდეების და ღირებულებების მხარდაჭერა აჭარაში“ (საგრანტოხელშეკრულების #NED Grant No 2017 - 858) ფარგლებში ყოველკვირეული რუბრიკის „ჩემი უფლება“ მომზადებას.
3. მაუწყებელსა და ა(ა)იპ “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის - ქალთა წინააღმდეგ ძალადობის მონიტორინგს, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ პროექტის ფარგლებში მომზადდება საზოგადოებისათვის გასაგები და ვიზუალურად საინტერესო ფორმით ქალთა ძალადობის წინააღმდეგ სოციალური სარეკლამო ვიდეო და აუდიო ტიხარი და გავრცელდება აჭარის ტელევიზიით (გადაცემა “#ჰეშთეგი”) და რადიოთი (დამოუკიდებელი მასალა).
4. მაუწყებელსა და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა "აი ფი ეს/საქართველო-სთან"გაფორმდა ხელშეკრულება. პროექტი ითვალისწინებს 2017 წლის 10 სექტემბრიდან 2017 წლის 20 ოქტომბრამდე პერიოდში რადიოს პირდაპირ ეთერში გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ყოველკვირეული გადაცემების „საუბრები გენდერზე“ მომზადებას.

6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები

დაინტერესებული პირებისათვის კვლავაც ხელმისაწვდომია საინფორმაციო ვიდეორგოლი, სადაც თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრის შემოტანის შესაძლებლობაზეა მითითება.[5]

ჩვენი მოვალეობაა ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

დაინტერესებულ პირებს ხარვეზის დაფიქსირებიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვთ მოგვმართოთ განცხადებით და მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა მოითხოვონ.

მაყურებელი, რომელიც შეამჩნევს, რომ ჩვენ საქმიანობაში ხარვეზებია, შეუძლია მოგვმართოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის tvitregulireba@ajaratv.ge მეშვეობით. ეს ფორმატი ხაზს უსვამს მაუწყებლის სრულ პასუხისმგებლობას და მზაობას განიხილოს დამფინანსებელთა მოსაზრებები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში ერთი საჩივარი შემოვიდა. საკითხი შეეხებოდა ანალიტიკურ გადაცემაში „მთავარი აჭარაში“ გასულ სიუჟეტში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის გაშუქების ნაწილში ინფორმაციის დაზუსტების თაობაზე. საკითხი განხილული იყო თვითრეგულირების პირველი და მეორე ინსტანციის მიერ. საბოლოო გადაწყვეტილებით[6] მაუწყებელმა ჯეროვანი სიზუსტის პრინციპის დაცვის თაობაზე განმარტება უნდა გააკეთოს.

გასული კვარტალი საკმაოდ დატვირთული იყო სიახლეებით - ჩაეშვა „რადიო თავისუფლების“ პროექტი, დაემატა წინასაარჩევნო თოქ-შოუები, რომლებიც ფაქტობრივად ყოველ საღამოს გადის აჭარის ტელევიზიის ეთერში, შეიცვალა “ჰეშთეგისა“ და “დილის ტალღის“ სტუდიები, აჭარის რადიოში დასრულდა რემონტი, თუმცა სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის მონაცემების ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ ხარვეზების რაოდენობა ზოგიერთ ნაწილში გაიზარდა კიდეც.

მნიშვნელოვანი პრობლემები რჩება საინფორმაციო გამოშვებების კუთხით, რომელშიც საკმარისი არ არის მთავარი რეჟისორის ფუნქციის გამოყოფა. როგორც პრაქტიკამ აჩვენა ამ საკითხების მოგვარება საჭიროებს კონკრეტულ, გაწერილ გეგმას, ხოლო შემდგომ, მის შესასრულებლად - მეტ ძალისხმევას, სიმტკიცეს და ყველა დონეზე ხელმძღვანელი პირების კონსოლიდირებას. რაც მიღწეული იქნება ახალი სტრუქტურის პირობებში. როცა გაიწერება საშტატო ერთეულის ფუნქცია და ფუნქციური ქვედებარეობის საკითხი.

ხარისხის კონტროლის სამსახურის მოსაზრებით, საინტერესო და აუცილებელი პროცესი მიმდინარეობს შემოქმედებითი გადაცემების ანალიზის და შეფასების კუთხით, პარალელურად, საჭიროა დამატებითი მუშაობა მიმდინარე პროექტების ავტორებთან,

[5] თვითრეგულირების შესახებ ვიდეორგოლი https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1284456444963912/

[6] საბოლოო გადაწყვეტილება თვითრეგულირების ფარგლებში http://ajaratv.ge/files/photos/Sainformacio/2016/11.pdf

რეჟისორებთან და პროდიუსერებთან და მათთვის კონკრეტული ამოცანების დასახვა. კვლავპრობლემურია რგოლებს შორის კოორდინაციის საკითხი და შრომითი დისციპლინა.

მიუხედავად იმისა, რომ იყო წინაღმდეგობა შეხვედრების და საბჭოების ჩანიშვნის შესახებ, დღეს უკვე თავად სამსახურის მოთხოვნა ხდება ამოქმედდეს ახალი რეჟიმი. ამიტომაც ახალი სტუქტურის პირობებში კიდევ ერთხელ უნდა შეთანხმდეს საბჭოების ფორმატები. ნათელია, რომ ნებისმიერი ორგანიზაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარკვეული ფორმატის შეხვედრების პერიოდული გამართვა, სადაც ცალკეული პირები (ჩვენ შემთხვევაში, მონიტორი) დაკვირვების შედეგებს პასუხისმგებელ პირებს გააცნობენ. მმართველთა საბჭოს წევრებისა და მონიტორინგის სამსახურის საქმიანი შეფასებები საკმარისი არ არის.

7. იურიდიული მხარდაჭერა

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მონაწილეობა პროცესებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიული სამსახურის ამოცანები იყო შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ხარვეზების შესწორება, სამომავლო რისკების შემცირება და მართვის ტენდენციების შესწორება იყო. ამავე დროს, დასრულდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მუშაობა მაუწყებელში. წარმოდგენილი დასკვნა მნიშვნელოვნად იმეორებს შიდა აუდიტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების ჩამონათვალს. სწორედ ამ მიზნით, გაცემული იყო დავალებები იურიდიული მხარდაჭერის სამსახურისათვის, რომლის შესრულებაც არ მომხდარა. შესაბამისად, მესამე კვარტლის განმავლობაში ვერ მოხერხდა ისეთი ორგანიზაციული ხარვეზების შესწორება როგორიცაა, სამივლინებო პოლიტიკის გამართვა, შესყიდვების სისტემის მოწესრიგება, შრომითი ურთიერთობების გადახედვა, ორგანიზაციის ქონების ექსპლუატაციის საკითხებზე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.

დაკისრებული პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის გამო იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მიმართ დაწყებულია დისციპლინური წარმოება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სადავო გახდა მაუწყებლის მიერ პოლიტიკური რეკლამის საეთერო ბადეში განთავსების საკითხი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ დავა ამჯერად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გრძელდება.

8. კვარტლის ტენდერები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა შესყიდვა. მათ შორის:

2017 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მესამე კვარტანში გამოცხადდა 14 ტენდერი, მათ შორის 4 არ შედგა, 3 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 2 გამოცხადებულია და მიმდინარეობს, 1 წინადადების მიღება დაწყებულია, 1 მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო 3 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

განხორციელდა 105 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:

- 46 საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
- 54 სახელმწიფო ბიუჯეტით;
- კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 2 ხელშეკრულება.

9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

მადლობის გადახდა - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობებით მუშაობდნენ მაუწყებლის თანამშრომლები ბორჯომის ხანძრის პირობებში. შესაბამისად, სამუშაო პროცესებში ჩართულ პირებს გამოეცხადათ მადლობა პირად საქმეში შეტანით.

საანგარიშო პერიოდში მადლობა გამოეცხადა 14 თანამშრომელს.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა გამოიყენა შემდეგი დისციპლინური სანქცია:

4 გაფრთხილება

1 საყვედური

2 შრომის ანაზღაურების დაქვითვა

მეტყველების გაკვეთილები - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სავალდებულო იყო მეტყველების გაკვეთილები. მაუწყებლის ინტერესია გაზარდოს თანამშრომელთა უნარ-

ჩვევები და გადადგას ახალი ნაბიჯები მედიასკოლის მექანიზმის გამართვისთვის. სტაჟირების პროგრამის მონაწილეებს და ახალ თანამშრომლებს კვლავაც ჰქონდათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ გაკვეთილებს/სპეციალურ კურსს.

სწავლებებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის თაამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტრენინგ-კურსებში და კონკურსებში:

1. საერთაშორისო გამოფენები და ლექციები
2. შიდა სწავლებები და ლექციები
3. სამუშაო მივლინებები
4. სწავლებები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ძირითადი ყურადღება დაეთმო თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გაძლიერებას და ახალი შესაძლებლობების შეძენას. ევროპის საბჭოს მხარდაჭერის პროგრამა მესამე კვარტლის განმავლობაშიც გაგრძელდა ინტერნეტპლატფორმის განვითარების საკითხზე ჩვენთან ერთად მუშაობდა ექსპერტი კოტე სტალინსკი. შეიცვალა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აჭარის ტელევიზიის მთავარი გვერდის დიზაინი, შედარებით მოწესრიგდა სამუშაო აღწერები. ცვლილებები უკვე დადებითად აისახა მაუწყებლის პოზიციონირების მაჩვენებელზე ონლაინ სივრცეში.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალი ამბების გუნდის მუშაობაში ჩართული იყო მედიაექსპერტი ნათია კუპრაშვილი. ნათია კუპრაშვილთან კონსულტაციების შემდეგ კიდევ უფრო დაიხვეწა ახალი ანალიტიკური გადაცემების ფორმატება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუს სტილი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნათია კუპრაშვილი შეხვდა ახალი ამბების ჟურნალისტებს ინფორმაციის მოპოვების და გრაფიკული დამუშავების ხერხებზე ესაუბრა.

ახალი ამბების გუნდის დაგეგმარების და სტრუქტურული გამართვის მიზნით ერთ კვირიანი სამუშაო ვიზიტით ახალი ამბების სამსახურში მუშაობდნენ ჟურნალისტები თამარ რუხაძე და დაჩი გრძელიშვილი. ჩატარებული სამუშაოების შემდეგ მაუწყებელში შიდა შერჩევით გამოვლინდა ახალი ამბების რეჟისორი. თუმცა გასაწერია ახალი ამბების სტრუქტურა და ქვემდებარეობის წესები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის თანამშრომლები ესწრებოდნენ მარეგულირებელი კომისიის ტრენინგს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

მაუწყებლის თანამშრომლები ასევე ესწრებოდნენ გასვლით სამუშაო ტრენინგს აჭარის მაღალმთიანეთში ნარჩენების მართვის თაობაზე

საანგარიშო ერიოდის განმავლობაში ვმონაწილეობდით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამაში „ღირსეული პასუხი 2017“ https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1479986355410919/?hc_ref=ARSIA5I8lmKXi4XNgxvs1H_ii1WXNtQqQgj2thqYQHkftwT_ZIlegwC9FgQFIusLcsM&pnref=story.unseen-section

10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა სტაჟირების პროგრამა, რაც მოიცავს მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე (ტელევიზია, რადიო და ვები) შემდეგი თაობის პროფესიონალების მომზადებას და მათ ჩართვას საქმეებში.

სტაჟირების პროგრამაში ან/და კონკურში მონაწილე პირებს აქვთ შესაძლებლობა დასაქმდნენ მაუწყებელში.

11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

გასული პერიოდების განმავლობაში მაუწყებელმა არაერთხელ დააფიქსირა, რომ ღიაა ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის.

ამ პოლიტიკის რეალიზება კი მოხდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

- ✓ გაფორმდა მემორანდუმი საგამოძიებო ჯგუფთან „REC სტუდია“
- ✓ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მაუწყებლის ეთერში განთავსებულია ყველაზე სანდო და კვალიფიციური ჯგუფის „ამერიკის ხმის“ მასალები
- ✓ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მაუწყებლის ეთერში განთავსებულია ყველაზე სანდო და კვალიფიციური ჯგუფის „სტუდია მონიტორის“ მასალები
- ✓ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მაუწყებლის ეთერში განთავსებულია „არტარეას“ მასალები
- ✓ მაუწყებელი და გერმანულენოვანი სამაუწყებლო კომპანია „დოიჩე ველე“ Deautche Welle[7] პარტნიორები არიან. რაც ნიშნავს იმას, რომ მაუწყებელი უფასოდ გადასცემს ევროპული პროდუქციას. მასალები კვლავაც ხელმისაწვდომია მაყურებლებისათვის
- ✓ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ღია იყო თანამშრომლობისათვის სხვა მედიაორგანიზაციებთან. ამ ფორმატში ყველაზე ხშირად ვთანამშრომლობდით სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“, ასევე ტელეკომპანიებთან “tvპირველი” და “იმედი”

სხვადასხვა პირებთან თანამშრომლობის მიზნით, მაუწყებელში გადადგმულია შემდეგი ნაბიჯები:

მოლაპარაკებები საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის გამოყენების შესახებ - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აჭარის მაუწყებელმა მიმართა სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს ურთიერთთანამშრომლობის კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით. საკითხი შეეხება საზოგადოებრივი არხის არქივზე წვდომას. ნათელია, რომ საზოგადოებრივი არხები წარმოადგენენ ერთიან ორგანიზმს და ჩვენი საქმიანობა ერთ საერთო სიკეთეს - საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. თუმცა კანონის საფუძველზე შექმნილია ორი დამოუკიდებელი სამართლებრივი სუბიექტი (სსიპ) ვფიქრობ, ჩვენ უნდა ამოვიდეთ საერთო ბიუჯეტირებისა და პროგრამული შეთანხმებების პრინციპებიდან და ჩვენ შორის ნებისმიერი საქმიანი გადაკვეთის წერტილი არ უნდა იწვევდეს დამატებით ფინანსურ ხარჯებს ჩვენი ორგანიზაციებისათვის.

[7] დოიჩე ველეს ოფიციალური ვებ გვერდი http://www.dw.com/en/top-stories/s-9097

ეუთოს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) წარმომადგენლებთან შეხვედრა - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეუთოს ექსპერტებმა შეხვედრა გამართეს საზოგადოებრივი არხის დირექტორთან და მრჩეველთა საბჭოსთან. ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვანია აჭარის მაუწყებლის განვითარების ეტაპები და სამომავლო პერსპექტივები

NED (დონორი - ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის) **-** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს საზოგადოებრივი არხის დირექტორთან. დონორი ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია აჭარის მაუწყებლის განვითარების ეტაპები და სამომავლო პერსპექტივები

საუბრები ევროპაზე - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აჭარის მაუწყებელი მხარს უჭერდა თავისუფალ „ჟურნალისტთა სახლის“ შეხვედრების სერიას „საუბრები ევროპაზე“ გარდა იმისა, რომ ჩვენ ვაწარმოეთ ლექციების ვიდეოგადაღება, ამავე დროს მაუწყებლის დირექტორი მონაწილეობდა სკოლებსა და უნივერსიტეტებში გამართულ შეხვედრებში.

NDI (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუსი) - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **NDI** წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს საზოგადოებრივი არხის დირექტორთან. ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვანია აჭარის მაუწყებლის საარჩევნო საკითხების გაშუქების ტენდენციები, განვითარების ეტაპები და სამომავლო პერსპექტივები

ბრიტანეთის საბჭო - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა მოლაპარაკებები ინგლისურის გაკვეთილების შეძენისა და მისი მაუწყებლის ეთერით გავრცელების თაობაზე. რათა მოხდეს “ბრიტანეთის საბჭოსა და BBC-ის სატელევიზიო სასწავლო პროგრამა „Word on the Street” ინგლისური ენის სწავლების 1, 2 და 3 დონის (სერიების) სატელევიზო ეთერით გავრცელება. გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე წერილობით ექსკლუზიური ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი გადაეგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომლის თანხმობის მიღების შემდეგ შედგა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა.

მაუწყებელი მადლობას უხდის ყველა პარტნიორს და მომდევნო პერიოდების განმავლობაში საქმიანობის კოლეგიურ ფორმატში გაგრძელების სურვილს გამოთქვამს.

12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

ფოკუს ჯგუფები

საანგარიშო პერიოდში შედგა ფოკუს ჯგუფი გადაცემისათვის "რჩეული ფრაგმენტები" ზაფხულის სეზონის დასრულების შემდეგ, მესამე პირების ჩართულობა კვლავაც გაიზრდება.

ცხელი ხაზი

ამ დროისათვის შეძენილია ცხელი ხაზის სპეციალური ნომრები და მომზადდა საინფორმაციო რგოლი მოსახლეობასთან უკუკავშირისა და წყაროების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეები უმეტესად მოგვმართავდნენ შემდეგი პრობლემებით/საკითხებით:

- ✓ საკუთრების უფლების ხელყოფა
- ✓ პოლიციის მხრიდან შესაძლო ძალის გადამეტება
- ✓ იპოთეკით დაზარალებულები, ასევე ოჯახები,რომლებსაც ემუქრებათ გამოსახლება
- ✓ ეკომიგრაცია
- ✓ სოციალურად დაუცველი ადამიანები და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მდგომარეობა
- ✓ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- ✓ შრომითი ხელშეკრულებების დარღვევა
- ✓ რამდენჯერმე წერილი გამოგვიგზავნეს საპატიმრო დაწესებულებიდან.

ყველა ზემოჩამოთვლილი თემა გაშუქდა ჩვენი ახალი ამბების და ანალიტიკური გუნდის გამოშვებებში.

კვარტლის პრიზები

- ➢ პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, ადვოკატირება და ლობირება“ აჭარის მაუწყებელი დაჯილდოვდა პრიზით **2017 წლის დამსაქმებელი.** პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ
- ➢ საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა მიიღო სასტუმრო „ჰილტონის“ პარტნიორობის პრიზი

13. ჩვენი სხვა აქტივობები

ტექნიკის მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

1. სტუდიისათვის შევისყიდეთ ჩამწერი მაგნიტაფონი.
2. ე.წ. თითების სტუდიაში განხორციელდა ინტერიერის შეცვლა და ახალი ინტერიერისათვის განათების მოწყობა.
3. განახლდა დილის სტუდია
4. განახლდა ჰეშთეგის სტუდია
5. თითების სტუდიაში UPS ი დამონტაჟება
6. შეძენილი იქნა განათების კომპლექტი
7. განხორციელდა 15 კვ იანი UPS ის პროფილაქტიკა
8. გამოცხადდა ტენდერი სტუდიური კამერის შტატივებზე
9. გამოცხადდა ტენდერი 1 ცალი ამწე კამერისათვის
10. გამოცხადდა ტენდერი სტუდიის სატელეფონო GSM ჰიბრიდზე
11. გამოცხადდა ტენდერი ენკოდერზე
12. გამოცხადდა ტენდერი მიკროფონებზე
13. მზად არის მოკვლევა, დაცვის სისტემის შესაძენად,ტელევიზიისათვის ძველი სისტემის გასარემონტებლად და გადასატანად რადიოს შენობაში
14. გამოცხადდა ტენდერიტიტრების გენერატორის შესაძენად

გადამცემ საშუალებათა ექსპლოატაციის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები:

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). ინტერნეტის საშულებით ხორციელდება გადამცემზე სარეზერვო რადიო სიგნალის მიწოდება, გარემონტდა დაზიანებული საყარაულო ჯიხური. ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები ანტენა-ფიდერულ მოწყობილობაზე, პროფილაქტიკა ჩაუტარდა დენის უწყვეტ წყაროს UPS, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილქტიკა ჩაუტარდა სერვო-რეგულატორს და ანტენა-ფიდერულ მოქყობილობას, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტი-კური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაო-ები), რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტი-კური სამუშაოები). გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები).

ომბალაურის გადამცემი სადგურის დიზელ-გენერატორში და ტელევიზიის ადმინის-ტრაციული შენობის დიზელ-გენერატორში გამოიცვალა ძრავის ზეთი, საწვავისა და ჰაერის ფილტრები.

ტელევიზიის ადმინისტრაციულ შენობაში გარემონტდა დენის უწყვეტი დენის წყარო.

ქსელური მოწყობილობების და საშუალებების (ქსელის კომუნიკატორი, კაბელი , კონექტორები) მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება.

2018 წლის კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეძენისათვის ბიუჯეტის შემუშავება.

სამონტაჟო კომპიუტერების ფასების მოკვლევა,სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება, ინსტალაცია.

ქსელური მოწყობილობების კომუტატორებისა და აქსესპოინტების ფასების მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება.

რადიოს შენობაში ახალი ქსელის ინსტალაცია, დაკაბელება.

რადიოს ვიდეო სტრიმინგისთვის ფასების მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება

ნოუთბუქებისა და პლანშეტების ფასების მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება.

კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი.

სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი.

ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ტიტროვშიკი), პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

სამაუწყებლო სერვერების, ხმის ჩამწერი და სამონტაჟო სადგურების ტექნიკური და პროგრამული გამართვა, მონიტორინგი.

ტელევიზიის ბალანსზე რიცხული ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა:

	ა/მ ნომერი	გაწეული მომსახურება	ა/მ მდგომარეობა	GPS
1	XYX 418	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
2	CBC 513	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
3	TUT 238	ჩამოსაწერია, დგას ორბელიანის №17	მუშა მდგომარეობაში	არა
4	CHC 436	გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის №17	გაფუჭებულია	არა
5	CHC 364	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
6	BBC 937	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
7	BBC 938	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
8	TX-995-XT	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
9	SSG 554	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
10	SSG 552	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
11	SSG 553	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
12	SSG 494	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
13	BC-727-BF	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
14	TUT 298	ნაავარიებია, დგას ორბელიანის №17	გაფუჭებულია	არა
15	CL-377-LC	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
16	LT-774-TL	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
17	TT-355-ZZ	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი

მაუწყებლის განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯები

7 ივლისი - შეხვედრა კანტარმედიის წარმომადგენლებთან;

მომზადდა გადაცემის "ახალი სივრცე" პრომო

აგვისტო - ორი საზაფხულო არტი

აგვისტო-ორი საზაფხულო ტიხარი

მოხდა ბადის ცვლილება (პოლიტიკური თოქ-შოუების, "ანარეკლი" , "სპორტული კლუბი" ჩაშვება ეთერში;

სექტემბერი - ბათუმობის დღესასწაულის პირდაპირი ტრანსლაციის ორგანიზება, ნოუკომენტების გადაღება, ტიხრის დამზადება

საარჩევნო რგოლების განთავსება და კონტროლი

სექტემბერი - საარჩევნოდ ტიხარის დამზადება და თოქ-შოუების პრომოების გადაკეთება; განვითარების გუნდის რეკომენდაციით, მოხდა ოთხი სერიალის შეძენა.

დაიწყო განვითარების გუნდის შეხვედრები გადაცემების შეფასების თაობაზე.

14. სამომავლო რისკები და გამოწვევები

ორგანიზაციის 30 წლიანი ისტორიის ანალიზი საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ მაუწყებლის მომავალი დამოკიდებულია ერთის მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავისუფალ მუშაობაზე, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. მეორეს მხრივ კი, ამგვარი მდგომარეობის მიღწევა არსებული რესურსების სწორი მართვით, სამუშაო გარემოს შექმნით და სამართლიანი შრომის გადანაწილეობით შეიძლება მოხდეს.

სამომავლო რისკები და გამოწვევებია:

1. საარჩევნო /პოლიტიკური პროცესების დაბალანსებულად გაშუქება
2. პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავისუფალი მუშაობა
3. საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებულობა
4. სამუშაო პირობების შექმნა
5. სამუშაო გრაფიკების სწორად გაწერა
6. პრიორიტეტული საკითხების დაფარვა

საგულისხმოა, რომ ყველა ეს საკითხი სასიცოცხლოდაა მიბმული მაუწყებლის შენობა-ნაგებობების გამართვასთან. როგორც არაერთხელ აღვნიშნე, დღეისათვის მაუწყებელში არ არსებობს მედია საქმიანობისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა. ამ საკითხის გადაწყვეტამდე კი მაუწყებელი ვერ უპასუხებს საზოგადოების მთავარ მოლოდინს - წარმოადგენდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს.

15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

მეოთხეკვარტლის (ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი) მთავარი გამოწვევა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, მოქმედი და მომავალი პროექტების შეფასება, მაუწყებლის საეთერო ბადის სწორი მართვა და განახლებული მაუწყებლობის დაწყებაა.

1. **კვარტლის მთავარი ამოცანები:**
   - ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
   - ✓ სტრუქტურის და სტრატეგიის დოკუმენტების საჯარო განხილვები
   - ✓ შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით სამუშაო ფორმატების დახვეწა
   - ✓ მაუწყებლის 30 წლის იუბილესათვის მზადება
   - ✓ 2-3 წარმატებული საგრანტო პროექტი
   - ✓ შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულება
2. **სამუშაო პირობების შეცვლა:**
   - ✓ თბილისის ბიუროს მოწესრიგება
   - ✓ საოფისე ავეჯის განახლება
3. **თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:**
   - ✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
   - ✓ თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა
   - ✓ გასვლითი შეხვედრების - ბრეინშტორმინგის მოწყობა
4. **სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა**
   - ✓ საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროექტის ეთერში ჩაშვება
   - ✓ ყოველდღიური დილის გადაცემის აწყობა
   - ✓ ახალი იდეების დამტკიცება
   - ✓ განახლებული სეზონის დაწყებისათვის მზადება
   - ✓ საიუბილეო კვირეულის მომზადება და მართვა
5. **შეთავაზება მესამე პირებისათვის**
   - ✓ წამყვანების/გადაცემების გასვლითი შეხვედრები აჭარის მუნიციპალიტეტებში
   - ✓ საინფორმაციო ლაითბოქსების განთავსება ტელევიზიის და რადიოს შენობებზე
   - ✓ რადიოს კედლების მოხატვა
6. **ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა**
   - ✓ ტელე და რადიო სიგნალების გავრცელების მუდმივი მონიტორინგის დაწყება და შესაბამისი აპარატურის შეძენა
   - ✓ სტუდიური განათებების მონტაჟი
   - ✓ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის სტუდიური დიზაინის კორექცია
   - ✓ ტექნიკური გადაიარაღების გეგმის კორექცია
7. **ფინანსური საკითხები**
   - ✓ 2017 წლის საბიუჯეტო წლის დახურვა
   - ✓ 2018 წლის ბიუჯეტირების პროცესის დასრულება